თბილისის “დინამოს” ოსტატთა გუნდის გამარჯვება

19 ივნისს მოსკოვში გაიმართა “სსრ კავშირის თასის” გათამაშების მორიგი შეხვედრა სპორტული საზოგადოება “დინამოს” ოსტატთა თბილისისა და კიევის გუნდებს შორის.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტში მიღებული ცნობების თანახმად, შეხვედრა დამთავრდა თბილისის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

გათამაშების დამთავრებამდე დარჩა ორი წრე ნახევარფინალი და ფინალი.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 20 ივნისი 1937 წ.